

## თბილისში გადანწყდა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახ. "დინამოს" სტადიონი. 1 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "კასტორია" (საბერძნეთი) – 2:0 (0:0).

"დინამო": გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი (ქორიძე), შენგელია (ჩელევაძე).

"კასტორია": ურმიდისი, ალექსიადისი, კალაიძისი, ვოიციდისი, პერგამინოსი, პარასხოსი, ვინციკოსი, პაპავასილიუ, ლიოლიოსი, პოპოვიჩი, ცირონისი.

მსაჯი: დ. მაქსიმოვიჩი (იუგოსლავია).

ევროპულ ტურნირებს ერთი მეტად ნიშნულგვანი ნიშანთვისება აქვს, რაც ამ ასპარეზობათა დაძაბულობას და, ამასთან ერთად მიმზიდველობასაც განაპირობებს. საქმე ისაა, რომ მასში მონაწილე გუნდების უმრავლესობა, მომდევნო ეროვნულ ჩემპიონატში კარგავს იმ ტიტულებს, რის ძალითაც მათ თავიანთი ქვეყნების წინა ჩემპიონატებში ეს საპატიო უფლება მოიპოვეს (ლაპარაკია ჩემპიონთა და უეფას თასზე), და საკუთარი გულშემატკივრების წინაშე სწორედ ევროპულ ტურნირებში ეძლევათ რეაბილიტაციის საშუალება. ამიტომაც ისინი მთელი ძალით იბრძვიან ამ გათამაშებაში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს თასების მფლობელთა თასის გათამაშება, სადაც ჩვეულებრივ იმავე წლის გათამაშების გამარჯვებულნი გამოდიან. მაგრამ ამჯერად ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა შარშანდელი დამსახურებისთვის მიენდო თბილისის "დინამოს". ამდენად ის "აქსელერატორი", რაც მათი ძალით მოქმედებს ჩემპიონთა და უეფა–ს თასებში, ქართველ ფეხბურთელთათვის აქაც ძალაში რჩება – მათაც წელს დაკარგული ქვეყნის თასისათვის რევანშის აღების საშუალება აქვთ ისეთ საპატიო და პასუხსაგებ ტურნირში, როგორც ევროპის თასის მფლობელთა თასის ტურნირია.

მიუხედავად იმისა, რომ სტარტზე მისი პირველი მეტოქე საბერძნეთის "კასტორია" თავისი ქვეყნის პირველობებშიც კი "გრანდთა" შორის არ ირიცხება (1980–81 წლის ეროვნულ პირველობაში გუნდმა სტარტზე ორი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღო) ქართველ ფეხბურთელთა დებიუტი საკმაოდ მორიდებული გამოდგა კონტინენტის ტურნირში. მათ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა მეტოქის მოედანზე – სალონიკში და ალბათ, შეჯიბრების მორიგ ეტაპზე გასვლის მთელ იმედებს თბილისის საპასუხო მატჩზე ამყარებდნენ. ამ მეორე რაუნდის არანაკლები იმედი ჰქონდათ სტუმრებსაც, რომელთათვის მეტოქის კარში ყოველი გატანილი ბურთი ერთი–ორად ფასობდა, ამის გამო ვერ ვიტყვით, იმას, რომ მასპინძლებს წინასწარ გარანტირებული ჰქონდათ "მწვანე გზა" მერვედფინალისაკენ.

შეხვედრა მხარეებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მათ ერთმანეთის თამაში ორი კვირის წინ გაიცინეს პირველ მატჩში და ეს ბრძოლა რამდენადმე სოლონიკის თამაშის გაგრძელება უნდა ყოფილიყო, სადაც მეტოქეებს აშკარად დრო არ ეყოთ ანგარიშის გასახსნელად, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს მაინც ჰქონდათ ერთგვარი სიახლე. იგი მოედანზე ახალი ძალების შემოყვანაში მდგომარეობდა (მათ რიგებში 4 ახალი ფეხბურთელი იყო – მუჯირი, ხიზანიშვილი, თავაძე, გუცაევი), რითაც ერთგვარი უპირატესობა ეძლეოდათ, ამ ორრაუნდიანი საასპარეზო სიუჟეტის კვანძი მათ სასარგებლოდ გახსნილიყო. და

მართლაც, "დინამომ" ლაღად და გაშლილად შეუტია მეტოქის ნახევარს და მთლიანი ტაიმის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა. მაგრამ პირველ ნახევარში ბრძოლის ბედი მანც გაურკვეველი იყო, რადგან ანგარიში არ გახსნილა. სულ სხვაგვარად წარიმართა მეორე ტაიმი. აქ მასპინძლებმა სათამაშო უპირატესობა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გუცაევი, შენგელია და ახალგაზრდა კაკილაშვილი, მატერიალურ "დოვლათად" აქციეს, რამაც მას კონტინენტის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალის საგზური მოუტანა. შეხვედრის 52-ე წუთზე კაკილაშვილის შუა მოედანზე წამოწყებული კომბინაცია მუჭირმა გააგრძელა და ბურთი მეტოქის საჯარიმოში შენგელიას გადააწოდა, რომელმაც ანგარიში გახსნა, მატჩის მიწურულს კი ყიფიანი-შენგელია-გუცაევის კომბინაცია მეორე გოლით დაგვირგვინდა – 2:0 და იმარჯვა "დინამომ".

ჭ. უნგიაძე.

"ლელო", 2 ოქტომბერი, 1980 წ.